პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევა და საპარლამენტო მმართველობის დადებითი ასპექტები

ნიკოლოზ ფიფია
სტუ-ს პროფესორი, დოქტორი
E-mail: nikolozphiphia@yahoo.com
გრიგოლ აბრალავა
სამართალმცოდნე

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის საპარლამენტო მმართველობის დადებით მხარეზე. კერძოდ აღნიშნულია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა წარმოადგენს სახელმწიფო მართვის უფრო მყარ სტრუქტურულ მოდელს. ამავე დროს, საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში პრეზიდენტის ძალაუფლება არის სიმბოლური და ფორმალური. შესაბამისად არაპირდაპირი არჩევის წესი არის მიღებული და დანერგილი სხვა საპარლამენტო მმართველობის მქონე დემოკრატიულ ქვეყნებში. პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი ასევე იძლევა საშუალებას დიდი ოდენობით სახელმწიფო ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობას.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის სწორად შერჩევა არის რთული, მაგრამ აუცილებელი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხი ქვეყნის სტაბილური, დემოკრატიული განვითარებისათვის. ამიტომ მას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. საჭიროა გააზრებული მსჯელობა და არგუმენტირებული დასაბუთება ამა თუ იმ მოდელის განხილვისას.

რესპუბლიკური მმართველობის ფორმებიდან ძირითადი მოდელებია საპრეზიდენტო და საპარლამენტო მოდელი. გარდა ამისა არსებობს სხვადასახვა ჰიბრიდული მოდელი (ნახევრად საპრეზიდენტო, შერეული), რომლებიც მთელ რიგ სახელმწიფოში მათი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით იქნა მიღებული. საქართველოშიც მარვა-გამგეობის ამა თუ იმ ფორმის მიღებას წინ უნდა უსწრებდეს ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მართვა-გამგეობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა საპრეზიდენტო, ნახევრად საპრეზიდენტო. დღეს კი არის მცდელობა საპარლამენტო მოდელზე გადასვლის. საქართველოში დღემდე არსებული ყველა პრეზიდენტი მეტ-ნაკლებად იყო ქარიზმატული თუ ოდიოზური ფიგურა. პირველი პრეზიდენტის ხელისუფლება დაემხო (1992 წელი), მეორე ე. წ. „ვარდების რევოლუციას" შეეწირა (2003 წელი), მესამე პრეზიდენტსაც მოუწია ვადამდე თანამდებობის დატოვება (2007 წელი). და მაინც რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი?

გავიხსენოთ თუნდაც 2003 წლის "ვარდების რევოლუცია" და მისი შემდგომი მოვლენები. რევოლუციით ხალხი იმდენად იყო კმაყოფილი, რომ 2004 წლის არჩევნებში მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს ამომრჩეველთა უდიდესმა ნაწილმა ხმა მისცა. კერძოდ, პრეზიდენტობის კანდიდატს, მიხეილ სააკაშვილს, მაშინ მხარი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 96%-ზე მეტმა დაუჭირა. პირველად სწორედ მაშინ გამოითქვა მოსაზრება, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მხრიდან, რომ ხელისუფლების კონტროლის მექანიზმი ძალზედ სუსტი იქნებოდა და იარსებებდა სახელმწიფოს თვითნებურად მმართველობის საფრთხე.[1] გამოდის რომ ლორდი ექტონის სიტყვებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, ცხადია საპარლამენტო რესპუბლაკაში პრეზიდენტის ძალაუფლება არის სიმბოლური და ფორმალური. პრეზიდენტის მიერ გამოცემული მთელი რიგი სამართლებრივი აქტებისა საჭიროებენ პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. სწორედ ეს უკანასკნელი მთავრობასთან ერთად ახორციელებს ფაქტიურად აღმასრულებელ ხელისუფლებას. შესაბამისად, მართებულია მოსაზრება, რომ საპარლამენტო მმართველობის პირობებში, უმაღლესი მთავარსარდლის სტატუსი მეტწილად

[1] ნიკოლოზ ფიფია, არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია, თბილისი 2013, გვ 66.

ცერემონიული მნიშვნელობისაა და ასეთ სისტემაში სამხედრო ძალები აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ მთავრობას ექვემდებარება. ასევე სიმბოლურია პრეზიდენტის როლი საქართველოს საგარეო ურთიერთობებში ვინაიდან იგი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური უფლებამოსილებებით აღჭურვილი არ არის და საგარეო პოლიტიკას ახორციელებს მთავრობა და სწორედ მის მეთაურს აქვს მინიჭებული უპირატესი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები.[2]

გადავხედოთ საპარლამენტო მმართველობის ფორმის მქონე რამოდენიმე ქვეყნის სამართლებრივ რეგულაციებს და მექანიზმებს პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით.

ლატვიაში პრეზიდენტს 4 წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 51 წევრის ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტის კანდიდატის ასაკი უნდა იყოს არანაკლებ 40 წელი (ლატვიის საკანონმდებლო ორგანო - სეიმი ირჩევა ასევე 4 წლის ვადით. იგი შედგება 100 წევრისაგან).[3]

ჩეხეთში პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევრზე მეტი და სენატორთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. კონსტიტუციით გათვალისწინებულია პრეზიდენტის არჩევის მეორე და მესამე ტური. პრეზიდენტი ირჩევა 5 წლის ვადით (ჩეხეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 200 დეპუტატისაგან და 6 წლის ვადით არჩეული 81 სენატორისაგან).[4]

ისრაელის პრეზიდენტი აირჩევა საკანონმდებლო ორგანოს - ქნესეთის მიერ ფარული კენჭისყრით, 7 წლის ვადით. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს ქნესეთის წევრთა ნახევარზე მეტი კონსტიტუციით გათვალისწინებულია პრეზიდენტის არჩევის რამოდენიმე ტური. ისრაელის ქნესეთი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 120 წევრისაგან.[5]

საბერძნეთის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ღია კენჭისყრით 5 წლის ვადით. კანდიდატის ასაკობრივი ცენზი უნდა იყოს 40 წელი, არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა ორ მესამედს. კონსტიტუციით გათვალისწინებულია პრეზიდენტის არჩევის რამოდენიმე ტური. პარალემტის წევრები ირჩევიან 4 წლის ვადით.[6] საბერძნეთის კონსტიტუცია არ ადგენს დეპუტატთა საერთო რაოდენობას (51-ე მუხლის I პუნქტი), მაგრამ განსაზღვრავს, რომ რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 200 და არაუმეტეს 300 დეპუტატისა. 1952 წლიდან საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატთა საერთო რაოდენობა შედგება 300 წევრისაგან.[7]

გერმანიაში ფედერალური პრეზიდენტი აირჩევა ფედერალური კრების (საარჩევნო კოლეგია **ნ. ფ.**) მიერ 5 წლის ვადით. ფედერალური კრება შედგება გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს - 4 წლის ვადით არჩეული ბუნდესტაგის ყველა, 630 წევრისაგან და მიწის სახალხო წარმომადგენლობების მიერ პროპორციული სარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ამავე რაოდენობის წევრებისაგან.* არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს ფედერალური კრების წევრთა უმრავლესობა. თუ კენჭისყრის პირველ ორ ტურში ასეთი უმრავლესობა ვერ მიიღო ვერცერთმა პრეტენდენტმა, არჩეულად ითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც შემდეგ ტურში დააგროვებს ხმების მეტ რაოდენობას (ფედერალური კრება წარმოადგენს საარჩევნო კოლეგიას და მისი წევრების სრული რაოდენობა შეადგენს 1260-ს. შესაბამისად კანდიდატის არჩევისათვის აუცილებელია პირველ და მეორე ტურ-

---

[2] http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/2.05.konstitucia-barati.pdf გვ. 21 (მუხლი 49).

[3] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი I (მეორე გადამუშავებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008; გვ. 301-302, 305.

[4] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი I (მეორე გადამუშავებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008; გვ. 643, 653-654.

[5] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II (მეორე გადამუშავებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008; გვ. 423, 425, 432-433.

[6] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II (მეორე გადამუშავებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008; გვ. 510-511, 500-501.

[7] http://www.hellenicparliament.gr/en/Vouleftes

* გერმანის საკანონმდებლო ორგანო შედგება ორი პალატისაგან ბუნდესტაგი და ბუნდესრატი. ბუნდესტაგის 630 წევრებისაგან და მიწების მთავრობების მიერ დანიშნული წევრებისაგან, რომელთაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ მთავრობები.

ში ფედერალური კრების სულ მცირე 631 წევრის მხარდაჭერა **ნ. ფ.**).[8] ფედერალური კრების ერთადერთი ფუნქცია არის სწორედ გერმანიის პრეზიდენტის არჩევა. ფედერალური კრება ჩვეულებრივ იკრიბება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ რაიხსტაგის შენობაში. გამონაკლისია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევა. გერმანიის პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით. პასიური საარჩენო უფლება გააჩნიათ გერმანელებს 40 წლის ასაკიდან აღსანიშნვია, რომ პრეზიდენტის არჩევნების მეორე და მესამე ტურში შესაძებელია დასახელდნენ ახალი კანდიდატებიც.[9]

ესტონეთის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით საკანონმდებლო ორგანოს სახელმწიფო კრების ან ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს სახელმწიფო კრების წევრთა ხმათა უმრავლესობის ორი მესამედს. კონსტიტუციით პრეზიდენტის არჩევისათვის გათვალისწინებულია სამი ტური, რომლის განმავლობაშიც თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა სასურველი რაოდენობა სახელმწიფო კრების თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად ერთთვიან ვადაში იწვევს ამომრჩეველთა კოლეგიას, რომელიც შედგება სახელმწიფო კრების წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოების თავმჯდომარეებისაგან. ესტონეთის სახელმწიფო კრება შედგება 4 წლის ვადით არჩეული 101 დეპუტატისაგან.[10]

უნგრეთის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით ფარული კენჭისყრით პარლამენტის მიერ. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც კენჭისყრის პირველ ტურში (საჭიროების შემთხვევაში ასევე მეორე ტურში) მიიღებს პარლამენტის წევრთა ხმათა ორი მესამედის უმრავლესობას. თუ პირველ და მეორე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო უმრავლესობა კონსტიტუციით პრეზიდენტის არჩევისათვის გათვალისწინებულია მესამე ტური, სადაც მონაწილეობის უფლება აქვთ იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც წინა ტურში მიიღეს ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა. კანდიდატი რომელიც კენჭისყრის მესამე ტურში მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მიუხედავად კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობისა, არჩეულ იქნება რესპუბლიკის პრეზიდენტად. უნგრეთის პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 386 დეპუტატისაგან.[11]

ალბანეთის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით ფარული კენჭისყრით ალბანეთის საკანონმდებლო ორგანოს, კუვენდის მიერ. კანდიდატისთვის განსაზღვრული ასაკობრივი ცენზი არის 40 წელი. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კუვენდის წევრთა სამი მეხუთედის უმრავლესობას. პრეზიდენტის ასარჩევად გათვალისწინებულია რამოდენიმე ტური. კუვენდი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 140 დეპუტატისაგან.[12]

იტალიის პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი ერთობლივ სხდომაზე. იტალიის პარლამენტი შედგება 5 წლის ვადით არჩეული 630 დეპუტატთა პალატის წევრისაგან და 315 სენატორისაგან. არჩევნებში ასევე მონაწილეობს ყოველი რეგიონული საბჭოს მიერ, უმცირესობათა წარმომადგენლობის გათვალისწინებით სამ-სამი დელეგატი. ვალე დ' აოსტას ჰყავს ერთი დელეგატი. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრების წევრთა ორ მესამედს (673 ხმა 1009 ხმიდან **ნ. ფ.**). მესამე კენჭისყრის შემდეგ საკმარისია აბსოლუტური უმრავლესობა (505 ხმა 1009 ხმიდან **ნ. ფ.**). პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით 7 წლის ვადით. კანდიდატისთვის განსზღვრული ასაკობრივი ცენზი არის 50 წელი.[13]

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია (მუხლი 50) ითვალისწინებს პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესის შემოღებას.

---

[8] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი III პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2006; გვ. 58-59, 82, 85-87.

[9] https://www.bundestag.de/en/parliament/function/federal_convention/federal_convention/201836

[10] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი III პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2006; გვ. 255, 260-261.

[11] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი III პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2006; გვ. 690, 712-713.

[12] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი IV პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2007; გვ. 47, 53-54.

[*] 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სერჯო მატარელამ (SergioMattarella) გაიმარჯვა კენჭისყრის მეოთხე რაუნდში.მან 1009 ხმიდან 665 ხმა მიიღო.

[13] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი V პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2007; გვ. 337-338, 343.

კერძოდ: „პრეზიდენტი აირჩევა სპეციალური საარჩევნო კოლეგიის მიერ, რომელიც შედგება 150 პარლამენტის წევრისგან, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ყველა წევრისგან და პარტიების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნების შედეგების შესაბამისად დასახელებული ხმოსნებისგან". საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის პირობებში არსებობს ძალზე დიდი დისბალანსი პრეზიდენტის ლეგიტიმაციასა და მის უფლებამოსილებას შორის. საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" განმარტებით ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტი უნდა იყოს ზეპარტიული ლიდერი, რასაც, პრაქტიკულად, გამორიცხავს პირდაპირი არჩევნები. პირდაპირი არჩევნები მოითხოვს პარტიული სტრუქტურების სრულ ჩართვას საარჩევნო კამპანიაში, კამპანიის მრავალმილიონიან დაფინანსებას პარტიების მხრიდან და ა.შ.[14]

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ პარლამენტის არჩევა უნდა განხორციელდეს რეგიონალური პროპორციული წარმომადგელობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში კი პრეზიდენტის არჩევა ცალსახად უმჯობესია განხორციელდეს მხოლოდ პარლამენტის მიერ, რადგან ასეთი პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევა თავისთავად გულისხმობს რეგიონის ჩართულობას. შესაბამისად, ვიანიდან საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის სტატუსი არის სიმბოლური, ხოლო ფუნქციები - შეზღუდული, ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა საპარლამენტო რესპუბლიკური მმართველობის მქონე დემოკრატიული ქვეყნების მაგალითის ურთიერთშედარების და ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით (აბსოლუტური უმრავლესობა), მაგრამ პირველი ორი კენჭისყრის შედეგად მისი აურჩევლობის შემთხვევაში - უბრალო უმრავლესობით (ფარდობითი უმრავლესობა).

აბსოლუტურად გაუგებარი და აზრს მოკლებულია არგუმენტები, თითქოს პრეზიდენტის მხოლოდ პირდაპირი არჩევის წესი არის დემოკრატიული, ან პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი ხალხს შეურაცხყოფას აყენებს. დამეთანხმებით ეს ალოგიზმია, რადგან ასეთი მიდგომით ქვეყნები, როგორებიც არიან გერმანია, აშშ, შვეიცარია, იტალია, საბერძნეთი, ესტონეთი, ლატვია, ისრაელი, უნგრეთი, ჩეხეთი და სხვ. არადემოკრატიულ ქვეყნებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებით პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი წესის გამო თითქოს შეურაცხოფას აყენებენ ხალხს. ასეთი მსჯელობა მიუღებელია და რბილად რომ ვთქვათ საღ აზრს მოკლებულია.

პრეზიდენის არაპირდაპირი წესით არჩევის ერთ-ერთი დადებით ასპექტს ასევე წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული დიდი ოდენობით საარჩევნო ხარჯების დაზოგვა. კერძოდ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯებმა სულ შეადგინა 26 598 500 ლარი. აღნიშნული ხარჯებში შედის: საარჩევნო ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, მივლინება, საარჩევნო ოლქებში არჩევნების ორგანიზება, სარეკლამო კამპანია, ბეჭდვით მომსახურება, საბეჭდი მოწყობილობები/სახარჯი მასალა, საარჩევნო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა/პროგრამული უზრუნველყოფა, სატელეკომუნიკაციო მომსახურება, საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის მოწყობა, წარმომადგენლობითი ხარჯები, სატრანსპორტო და საფოსტო მომსახურება, სხვა დარჩენილი საქონელი და მომსახურება, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრეინინგი.[15] აღნიშნული ხარჯის სრულად დაზოგვა არის შესაძლებელი პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვჩნია, რომ საპარლამენტო მმართველობის მოდელი არის სისტემურად უფრო მყარი. იგი არ არის დამოკიდებული და დაკავშირებული ერთ ქარიზმატულ (რომელიც შესაძლოა გადაიქცეს ოდიოზურ ფიგურად) ლიდერზე, ამიტომაც ნაკლებია პრეზიდენტის მხრიდან დიქტატურის და ხელისუფლების უზურპაციის შესაძლებლობა. პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი წესი კი გულისხმობს საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისათვის სიმბოლური და ფორმალური ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს მეთაურის არჩევის შესაძლებლობას, რაც ერთის მხრივ საკანონმდებლო ორგანოს მაღალ ლეგიტიმაციას ხაზს უსვამს, ხოლო მეორეს მხრივ აბსოლუტურად თანხვედრაშია დემოკრატიზმის პრინციპთან. პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი ამავე დროს დიდი ოდენობით ხარჯების დაზოგვის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

[14] http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/2.05.konstitucia-barati.pdf გვ. 22 (მუხლი 50).

[15] https://electioncosts.cec.gov.ge/compare.php?search=1&i_category[]=17

გამოყენებული ლიტერატურა:

1 ნიკოლოზ ფიფია, არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია, თბილისი 2013;

2 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი I (მეორე გადამუშვებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008;

3 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი II (მეორე გადამუშვებული გამოცემა) პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2008;

4 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი III პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2006;

5 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი IV პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2007;

6 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები ნაწილი V პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ. 2007;

7 http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/2.05.konstitucia-barati.pdf

8 https://electioncosts.cec.gov.ge/compare.php?search=1&i_category[]=17

9 http://www.hellenicparliament.gr/en/Vouleftes

10 https://www.bundestag.de/en/parliament/function/federal_convention/federal_convention/201836

INDIRECT ELECTION OF THE PRESIDENT AND POSITIVE ASPECTS OF PARLIAMENTARY GOVERNANCE

NIKOLOZ PIPIA
prof. of GTU, doctor
E-mail: nikolozphiphia@yahoo.com
GRIGOL ABRALAVA
jurisprudent

Summary

The presented article focuses on the positive side of president's indirect election and the parliamentary governance. Specifically, it is noted, the parliamentary republic is a more structural model of state governance. At the same time, the power of the president in parliamentary governance countries is symbolic and formal. Therefor, indierect election of president is adopted and implemented in other democratic countries with other parliamentary governance. The indirect election of president also gives the real opportunity to save a large amount of state expenditures.